საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
კვლევებისა და ინოვაციების მხარდამჭერი პროგრამა (ReInnova)

წინასწარი განმარტება

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინოვაციებისა და კვლევების პროგრამა - ReInnova“-ს (შემდგომში პროგრამა) კონცეფცია მომზადდა მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით დაფინანსებული საგრანტო პროექტის “კვლევებისა და ინოვაციების მხარდაჭერის პროგრამა საწარმოო ბიზნესებთან თანამშრომლობის სტიმულირებისა და გაუმჯობესებისათვის საინჟინრო განათლებაში - ReInnova - №CIF-2023-09“ ეგიდით და აკადემიურ საბჭოს განსახილველად წარედგინა სარეკომენდაციო დოკუმენტის სახით, რათა სამომავლოდ აღნიშნული დოკუმენტი, სტუ-ში ამავე პროექტის მდგრადი მიზნებისათვის იქნეს გამოყენებული. დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი ყველა ელემენტი რამაც საბოლოოდ უნდა გააძლიეროს საგანმანათლებლო პროგრამებში ე.წ. „საწარმოო პრაქტიკის“ კომპონენტი პროექტი ReInnova-ს მიზნების შესაბამისად.

პრეამბულა

საქართველოში მიმდინარეობს მნიშვნელოვანი ღონისძიებები უმაღლესი განათლების სისტემისა და შრომის ბაზრის თანამშრომლობის განვითარების მიმართულებით, რაც მიზნად ისახავს შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური სამუშაო ძალის მომზადების ხელშეწყობას, ხოლო მეორე მხრივ, ხელს უწყობს განათლების სისტემის შესაბამისობას თანამედროვე შრომის ბაზრის გამოწვევებთან. ამ კონტექსტში განსაკუთრებული და სპეციფიკურია გამოწვევები საინჟინრო-ტექნიკურ დარგებში, სადაც მრავალი პრობლემა არსებობს და საჭიროებს გადაწყვეტას.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის (სტუ, უნივერსიტეტი), როგორც ყველაზე დიდი საინჟინრო სკოლისათვის საქართველოში, მოქმედი 2022-2028 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმით[1] განსაზღვრულია ის პრიორიტეტები, რომლებიც მიზნად ისახავს აკადემიურ სივრცეში სწავლის, სწავლებისა და კვლევის ისეთი სტანდარტების დანერგვას, რომლებიც მუდმივად გააუმჯობესებს სასწავლო გარემოს და გაზრდის განათლების შესაბამისობას თანამედროვე შრომის ბაზრის გამოწვევებთან.

პროგრამა ეფუძნება პროექტს **„კვლევებისა და ინოვაციების მხარდაჭერის პროგრამა საწარმოო ბიზნესებთან თანამშრომლობის სტიმულირებისა და გაუმჯობესებისათვის საინჟინრო განათლებაში - ReINNOVA”,** რომელიც სტუ-ისა და ინდუსტრიებს/ბიზნესებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის სტიმულირების და მხარდაჭერისთვის შეიქმნა.

პროგრამის მიზნებია:

- სტუ-ის, როგორც საქართველოში ყველაზე დიდი საინჟინრო განათლების ინსტიტუციასა და სამეწარმეო ბიზნეს ინდუსტრიებს შორის კავშირების გაძლიერება;
- განათლებაში დამსაქმებლების მონაწილეობის უზრუნველყოფა და სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკის შედეგების გაუმჯობესებით შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური სამუშაო ძალის მომზადების ხელშეწყობა.

---

[1] იხ. სტუ-ს განვითარების სტრატეგია 2022-2028 წწ.
https://gtu.ge/pdf/gtu-strategy.pdf

პროგრამის ამოცანებია:

- სემინარების, ბიზნესთან პროაქტიული თანამშრომლობის, სასწავლო პროგრამებში პრაქტიკული კომპონენტის განვითარების და სხვა ინოვაციური მექანიზმების საშუალებით საწარმოო ბიზნეს ინდუსტრიების სფეროში კარიერული განვითარებისა და პროფესიული ზრდისათვის მხარდაჭერის შესაძლებლობების შექმნა;
- კრეატიული მიდგომებით შემუშავებული სპეციალური პროგრამის მეშვეობით დამსაქმებლის საჭიროებაზე მორგებული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სტიმულირება;
- პერსონალისა და სტუდენტებისთვის სხვადასხვა სფეროში ეტაპობრივი კვლევებისა და სწავლების შეთავაზება;
- დამსაქმებლებთან თანამშრომლობით, სტუდენტის მიერ სწავლებისას მიღებული თეორიული ცოდნის და კომპეტენციების უშუალოდ პრაქტიკულ გარემოში ადაპტაციის, განვითარებისა და განმტკიცების ხელშეწყობა.

პროგრამის საჭიროების დასაბუთება

დღეისათვის საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის მოდერნიზაციის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად, დამსაქმებლებთან თანამშრომლობის ახალი მოდელის შექმნა ითვლება. მსოფლიო ბანკის მიერ 2018 წელს საქართველოს შესახებ გამოქვეყნებულ დიაგნოსტიკურ ანგარიშში (A Systematic Country Diagnostic) აღნიშნულია, რომ ქვეყანაში უმაღლეს განათლებაზე ფართო წვდომის მიუხედავად, კავშირები განათლებასა და დასაქმებას შორის ძალიან სუსტია.[2] ამ გამოწვევის საპასუხოდ საქართველოს განვითარების სტრატეგიის ამოცანაში 6.5 აღნიშნულია: „უმაღლესი განათლების პროგრამების განვითარება შრომის ბაზრის გამოწვევების შესაბამისად“ გათვალისწინებულია ნაბიჯები სახელმწიფოს მხრიდან უმაღლესი განათლების სექტორში პრაქტიკაზე დაფუძნებული პროგრამების შესამუშავებლად, რომლებიც შესაბამისობაში იქნება შრომის ბაზრის საჭიროებებსა და სწავლა-სწავლების სფეროში ინოვაციურ მიდგომებთან.[3]

ეროვნული ინტერესებისა და ინსტიტუციური გამოწვევების საპასუხოდ, აღნიშნული პრიორიტეტები ასახულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოქმედ 2022-2028 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმაშიც. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის თანამშრომლობას შეუძლია, მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/განვითარებაში, ინოვაციების დანერგვასა და უწყვეტი განათლების უზრუნველყოფაში, მათ შორის ერთობლივი სწავლებისა და კვლევის განხორციელების გზით. პროექტი „ReInnova“ რომელიც მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით დაფინანსდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინოვაციის ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი - საქართველო I2Q (IBRD) საგრანტო კონკურსის ფარგლებში (საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან გაფორმებული №CIF-2023-09 საგრანტო ხელშეკრულება), შემუშავებული იქნა ზემოთ მოცემული გამოწვევის საპასუხოდ, სახელმწიფოს განვითარების სტრატეგიის, სტუ-ს სტრატეგიული მიზნებისა და კონკურენტული ინოვაციის ფონდის (CIF) პრიორიტეტების გათვალისწინებით. შესაბამისად ამ პროექტის სამოქმედო გეგმის ფარგლებში მომზადებული **„კვლევებისა და ინოვაციების მხარდამჭერი პროგრამის“ მიზანია**

---

[2] https://documents1.worldbank.org/curated/en/496731525097717444/pdf/GEO-SCD-04-24-04272018.pdf (გვ.35)

[3] საქართველოს განვითარების სტრატეგია - ხედვა 2030 - https://www.gov.ge/wp-content/uploads/2022/11/khedva-2030-saqarthvelos-ganvitharebis-strategia-1.pdf

კერძო სექტორთან თანამშრომლობით და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის გზით, შექმნას კარიერული განვითარების და პროფესიული ზრდისათვის მხარდაჭერის შესაძლებლობები სასწავლო პროგრამებში პრაქტიკული კომპონენტის განვითარების, ტრენინგ-სემინარების, ერთობლივი კვლევითი აქტივობებისა და სხვა ინოვაციური მექანიზმების საშუალებით.

პროგრამის დანერგვა/განხორციელება ხელს შეუწყობს სტუ-ის საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო გარემოს სწრაფ მოდერნიზაციას შრომის ბაზართან კავშირების გაძლიერებით. ეს თავის მხრივ ხელს შეუწყობს ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული და კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის განვითარებას და განსხვავების შემცირებას სწავლის შედეგებსა და შრომის ბაზრის მოლოდინებს შორის (skills gap).

საერთაშორისო პრაქტიკა და ინოვაცია

პროგრამაში გამოყენებული კონცეფციები და მეთოდოლოგია ეყრდნობა ინოვაციურ ბრიტანულ გამოცდილებას. კერძოდ, კილის უნივერსიტეტის „კვლევისა და ინოვაციების მხარდაჭერის პროგრამას“ (Keele Research and Innovation Support Programme - KRISP), რომელიც დიდ ბრიტანეთში საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ბიზნესებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის სტიმულირებისა და მხარდაჭერისთვის შეიქმნა; კონცეფცია მოიცავს კერძო სექტორსა და უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობას კონკრეტული ბიზნეს პრობლემების გადასაწყვეტად, სტუდენტების პრაქტიკული მონაწილეობით. პროგრამა კერძო სექტორისთვის იძლევა შესაძლებლობას რესურსების დაზოგვით მიიღოს წვდომა დარგში უახლეს აკადემიურ ცოდნასა და ექსპერტიზაზე, აგრეთვე სტუდენტთა გუნდის ჩართულობაზე აკადემიური პერსონალის ხელმძღვანელობით, რომელიც ორიენტირებული იქნება მათი კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტაზე.

ნახ. 1: KRISP პროგრამის ვიზუალიზაცია

ერთობლივი აქტივობები კვლევითი და სასწავლო მიმართულებით ინდუსტრიებს დაეხმარება საკუთარი ბიზნეს ინიციატივის შემუშავება-დახვეწაში და შემდგომში ეფექტიან მართვაში რეალური ბიზნეს პრობლემების გადასაწყვეტად. ხოლო სტუ-ს მხრიდან ინოვაციებისა და კვლევების პროგრამის დანერგვით პერსპექტივაში უზრუნველყოფილი იქნება სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა და ინოვაციური, პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდური ინსტიტუციონალიზაცია

საგანმანათლებლო პროგრამებში, რაც საბოლოოდ გააუმჯობესებს სწავლა-სწავლების პრაქტიკასა და შედეგებს.

პროგრამის აღწერა

სტუდენტების პრაქტიკული უნარების და ბიზნეს სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობის განვითარების მიზნით, „სტუ-ის კვლევისა და ინოვაციების მხარდაჭერის პროგრამა - ReInnova“ ფოკუსირებულია იმ ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებზე, რომლებიც ახალი პროდუქტის, პროცესის ან სერვისის შექმნაზე ფიქრობენ ან შექმნის პროცესში არიან. პროექტის ეგიდით აკადემიური ექსპერტიზისა და შესაბამისი ადამიანური რესურსის დახმარებით, შესაძლებელია სტუ-მ განახორციელოს ბიზნესების ისეთი ექსპერტიზით, საქმისადმი ფოკუსირებით და სხვა დამატებითი პროცესებით მომარაგება, რომელიც უკვე მოქმედი ბიზნესის ინოვაციურ ზრდას შეუწყობს ხელს. ბიზნეს-კომპანიები, რომლებიც ჩაერთვებიან პროექტში, „ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის“ განახლება /გაფორმების შემდეგ, წარმოადგენენ რეალური პრობლემის/ების (ქეისის) მოკლე აღწერილობას. ამის შემდეგ აღნიშნულ ბიზნეს ქეისზე სამუშაოდ, სტუ-ს შიდა მექანიზმების გამოყენებით შეირჩევა შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე აკადემიურ პერსონალი, რომლებიც საპილოტე პროგრამებში მოდიფიცირებული სილაბუსით გათვალისწინებული საგეგმო ვალდებულებით და შესაბამისი ცოდნით ჩაერთვებიან პროექტში და საპილოტე სასწავლო პროგრამის სტუდენტთა გუნდებთან 3 თვის ვადაში (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგაზაფხულო ან საშემოდგომო სემესტრი), წარმოადგენენ რეალური ბიზნეს პროექტის გადაწყვეტის თავის ვერსიას, რომლის შეფასების მთავარი კრიტერიუმი იქნება “ინოვაციურობა და პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობა”. პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების დეტალური გაცნობის მიზნით იხილეთ „სტუ-ს კვლევებისა და ინოვაციების პროგრამა - ReInnova”-ს პროცესის სტრუქტურა **(ნახ. 2).**



ნახ. 2. „სტუ-ს კვლევებისა და ინოვაციების მხარდამჭერი პროგრამა - ReInnova”-ს პროცესის სტრუქტურა

პროგრამა დამატებითი შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, ითვალისწინებს ე.წ. „ინოვაციების მრჩეველთა“ ჩართვას პროგრამის უშუალოდ აღსრულების პროცესში. ისინი აქტიურ დახმარებას გაუწევენ პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარებს და აქტიურად ითანამშრომლებენ პროექტზე მომუშავე ჯგუფებთან. ასევე პერიოდულ დაკვირვებას განახორციელებენ მუშაობის პროცესზე (იხ. დანართი 1). როგორც სქემიდან ჩანს, კომპანიებთან შუალედური პოზიციების შეჯერების და ზოგადად პროგრამის ადმინისტრირების მიზნით პროცესში გათვალისწინებულია ინტენსიური შეხვედრები კონკრეტული ბიზნესის წარმომადგენლებთან. პროექტის სამუშაო არეალი მრავალფეროვანია და მათ შორის ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამებისა და ბიზნესის საჭიროებებს. საბოლოოდ, სემესტრის ბოლო სასწავლო კვირაში პროგრამის განხორციელება დასრულდება და მოეწყობა პროექტის ეგიდით განხორციელებული შედეგების პრეზენტაცია.



ნახ. 3. კონცეფციის სტრუქტურა

დოკუმენტს დანართების სახით ერთვის:

დანართი 1 - „ინოვაციების მრჩეველი“-ს სამუშაოს აღწერილობა;
დანართი 2 - განაცხადის ფორმა;
დანართი 3 - ბიზნეს პროექტის ფორმა (შაბლონი);
დანართი 4 - პრეზენტაციის ნიმუში;